ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3709727

ნომერი: AR1560299

თარიღი : 24.11.2017

გაცემის თარიღი : 30.11.2017

გაცნობის თარიღი : 01.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 9 , (ნაკვეთი 3/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მეტრეველი პ/ნ 01026004493
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 75 ბ. 16

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3504940
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.08.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 24 ნოემბრის AR1560299 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. გამომდინარე იქედან, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით ობიექტზე ფიქსირდება მშენებარე ფართების მესაკუთრეების საკუთრების უფლება, საჭიროა ერთიანი განახლებული ამონაწერის წარმოდგენა და აღნიშნულის შესაბამისად, თუ განხორციელებული მშენებლობით იცვლება მომავალი მესაკუთრეების, მყიდველის ფართები, საჭიროა ყველა იმ პირის (ორგანიზაციის) თანხმობის წარმოდგენა ვისი ფართიც იცვლება.
2. ასევე თუ განხორციელებული მშენებლობით იცვლება იპოთეკით დატვირთული ობიექტის ფართი საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ , რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

3. ვინაიდან შეცვლილია კეთილმოწყობა და დაუსრულებელი, საჭიროა დასრულდეს და დაცულ იქნას კ3 კოეფიციენტი.
4. წარმოადგინეთ კეთილმოწყობის გეგმა და გეგმა 0,00 ნიშნულზე, პანდუსების გაბარიტული ზომების და დახრის ჩვენებით, გამწვანების ფართის დაფიქსირებით, დამოწმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ.
5. საჭიროა დასრულებულ იქნას სამშენებლო, მოსაპირკეთებელი და სამღებრო სამუშაოები.

აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილი აღნიშნული დარღვევების გამოსწორების თაობაზე.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.